საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებულისექტორული საკოორდინაციო საბჭოს

სხდომის ოქმი N6

29.06.2015

შეხვედრის დასახელება	**„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს" სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**29 ივნისი, 2015წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	თანამდებობა
თამარ სანიკიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
საბჭოს წევრები	
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე; ,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს''თავმჯდომარე
რატი ბრეგაძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე
კახაბერ დაუშვილი	საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პროექტის კოორდინატორი
გიორგი მაჩაბელი	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი
საბჭოს წევრების წარმომადგენლები	
შტეფან შტორკი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, საოპერაციო განყოფილების უფროსის მოადგილე
მიკოლაი ბეკისიაკი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, კომუნიკაციების ხელმძღვანელი
ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, პროექტის მენეჯერი
დევიდ ჰენდლი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA-Georgia) პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" ჯგუფის ხელმძღვანელი
ნოდარ სურგულაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA) უმაღლესი და პროფესიული განათლების პროექტის დირექტორი
მარინა ქუთათელაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA) წარმომადგენელი
ცისნამი საბაძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი
მარიამ გელაშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი
ნინო ელბაქიძე	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი
ლავრენტ ალანია	ა(ა)იპ საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მშენებელთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი
საბჭოს სხვა მონაწილეები	
თამარ ქიტიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
ელზა ჯგერენაია	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
ირინა წეროძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ნიკოლოზ მესხიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი
ტიმო კუსელა	ევროპული განათლების ფონდის (ETF) წარმომადგენელი
უმუჰან ბარდაკი	ევროპული განათლების ფონდის (ETF) წარმომადგენელი
მარიამ ზაქარეიშვილი	ა(ა)იპ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი
ვულფ შმიდერი	ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" ჯგუფის ლიდერი, შრომის ბაზრის ექსპერტი
ოლივერ დიზი	ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი
ანა დიაკონიძე	ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" შრომის ბაზრისა და დასაქმების ადგილობრივი ექსპერტი
ლელა მაისურაძე	ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" პროფესიული განათლების პოლიტიკის ადგილობრივი ექსპერტი
საბჭოს სხდომის მდივანი	
ქრისტინა გოროდნიჩევა	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

სხდომის დღის წესრიგი	
საკითხი #1	**ფასილიტატორი/მომხსენებელი**
პროგრამის - „დასაქმება და პროფესიული განათლება"განსახორციელების შესახებ ანგარიში.	**თამარ ქიტიაშვილი,** პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი; **ელზა ჯგერენაია**, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი.
საკითხი #2	
პროგრამის - „დასაქმება და პროფესიული განათლება" - ფარგლებში ტექნიკური მხარდაჭერის პროექტით გათვალისწინებული აქტივობების მიმოხილვა.	**ვულფ შმიდერი,** ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" ჯგუფის ლიდერი, შრომის ბაზრის ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ქ-ნი თამარ სანიკიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნოდღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები:

1. პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება"განსახორციელების შესახებ ანგარიში;

2. პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება“ ფარგლებში ტექნიკური მხარდაჭერის პროექტით გათვალისწინებული აქტივობების მიმოხილვა.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელი ბ-ნი შტეფან შტორკი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მეორე ტრანშის მისაღებად ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროექტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების შეფასება დასრულებულია და გადაგზავნილია ევროკავშირის სათაო ოფისში და მოთხოვნილია სრული ტრანშის გადმორიცხვა. ამასთან, გასული წლის მსგავსად,ისინი განაგრძობენ პროგრამის პროგრესის მონიტორინგს. მისივე თქმით ტვინინგის კონსორციუმების შერჩევის პროცესი დასრულებულია და მომზადებულია პროგრამის ხელშეკრულება. ბ-ნმა შტეფანმა აღნიშნა, რომ დიდ იმედს ამყარებს ტექნიკური დახმარების პროექტის შესაძლებლობებზე, თუმცა აღნიშნულმა პროექტმა არ უნდა გადაფაროს ბენეფიციარი სამინისტროების მიერ შესასრულებელი სამუშაოები და ფუნქციები.

საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებული ,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' თავმჯდომარე ქ-ნი ქეთევან ნატრიაშვილი გამოეხმაურა ბ-ნ შტეფანს და აღნიშნა, რომ ორივე ბენეფიციარი სამინისტროსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხარდაჭერა და მომხსენებლებს სთხოვა წარმოედგინათ პრეზენტაცია სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა დეტალურად ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული კომპონენტების განსახორციელებელი ღონისძიების მიმდინარეობის შესახებ.

ქ-ნმა თამარმა ხაზი გაუსვა 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებულ მე-2 კომპონენტის პირობის - ,,პროფესიული განათლების სისტემის მიერ მინიჭებული უნარები/კვალიფიკაციები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის საჭიროებებთან'' ინდიკატორის შესრულებას მისივე თქმით, ორი ახალი კურიკულუმის (მოდულური მიდგომის შესაბამისად) ნაცვლად, მიმდინარე წელს შემუშავებულია 47 მოდულური პროგრამა, ხოლო გასულ წელს 62 პროგრამა. ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამების საერთო სიმრავლიდან ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 50 პროგრამის დანერგვისათვის. დამატებით ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ ეს პროცესი გულისხმობს მთლიანად სისტემის მომზადებას ახალი თაობის პროგრამის დანერგვისათვის, მაგალითად, მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერებას, მათი უნარების მორგებას ახალ საჭიროებებზე და ა.შ.

რაც შეეხება, 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებულ შემდგომ პირობას - პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხს, ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ 2014 წელს საქართველოს მთავრობის მერ მოწონებული ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციის'', ფარგლებში მიმდინარეობს მასწავლებლების განვითარების პროგრამის შემუშავება და მათი ტრენინგი. ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, დღეისათვის შემუშავებულია ტრენინგ-მოდულები, ასევე, შეირჩადა გადამზადდა ტრენერები. ამასთან, 125 მასწავლებლის გადამზადება

დასრულდა და მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია 500- მდე მასწავლებლის გადამზადება მოდულური სწავლების მიმართულებით.

ქ-ნმა თამარმა ისაუბრა საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან დაკავშირებით. მისივე თქმით, მოხდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს გადახედვა და მომზადდა მისი ახალი პროექტი, რომელიც მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ მიმართულებას. ასევე დაწყებულია "ISCED 2013"-ის შესაბამისად აკადემიურ და პროფესიულ მიმართულებებში საქართველოს საგანმანათლებო პროგრამების კლასიფიცირების და ახალი კოდირების შემუშავება. მომზადებულია საგანმანათლებლო პროგრამების კლასიფიკატორი და კოდის მინიჭების წესი, ხოლო მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან დაგეგმილია ელექტრონული ბაზის შემუშავება და გასაჯაროება.

ქ-ნმა თამარმა ხაზი გაუსვა2015 წლის პოლიტიკის მატრიცის მე-3 კომპონენტს - პროფესიული გადამზადებიდან დასაქმებაში ეფექტურ გადასვლასთან დაკავშირებით დააღნიშნა, რომ საგანმანათლებლო მიმართულებით შემუშავებულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული დაგეგმვის მოდულები მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის. ასევე, აღნიშნა, რომ ასევე მიმდინარეობს მოდულების შემუშავება მე-11 კლასის მოსწავლეებისთვისაც.

ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ,,საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის" განხორციელების მიზნით პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს ფარგლებში შექმნილია პროფესიული კონსულტაციის/კარიერის დაგეგმვისა და სამეწარმეო განათლების თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელიც უკვე ფუნქციონირებს.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და სიტყვა გადასცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს ქ-ნ ელზა ჯგერენაიას.

ქ-ნმა ელზა ჯგერენაიამ ისაუბრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული კომპონენტების განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ, რომელმაც ხაზი გაუსვაშრომის ბაზრის კვლევის მიმდინარეობას. მისივე თქმით, თვისებრივი კვლევის პროცესი დასრულებულია, მიღებულია კვლევის შესახებ ანაგარიში და კვლევის საბოლოო ანალიზი ხელმისაწვდომი იქნება ივლისის თვის პირველ ნახევარში, ხოლო,რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის ანგარიშს, შემსრულებელი კომპანია მას წარმოადგენს აგვისტოს თვის ბოლოს.

ქ-ნმა ელზამ ისაუბრა 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებულ დასაქმების ხელშეწყობის სერვისების გაუმჯობესებულ ხარისხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტებთან ერთან აქტიურად მიმდინარეობს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის შესახებ კონცეფციის პროექტზე მუშაობა. ამასთან, ივლისის თვიდან მის შემუშავებაში ტექნიკური დახმარების პროექტის გუნდს დაემატება შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის დარგში საერთაშორისო ექსპერტი.

ქ-ნმა ელზამ ვრცლად ისაუბრა პროფესიული კონსულტაციის/კარიერის დაგეგმვისა და სამეწარმეო განათლების თემატური სამუშაო ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, მიმდინარე წლის 26 ივნისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიმართა აღნიშნული თემატური ჯგუფის პირველი შეხვედრა, სადაც წარმოდგენილ იქნა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სტანდარტის პირველადი პროექტის პრეზენტაცია. აღნიშნულ შეხვედრაზე მოხდა ერთგვარი რეკომენდაციების წარმოდგენა, რომელიც აისახება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სტანდარტის პროექტში, ხოლო შემდგომ მოხდება მისი გაზიარება თემატური სამუშაო ჯგუფის წევრებთან კომენტარებისა და შენიშვნებისათვის. ამასთან, სამუშაო გეგმის თანახმად, ივლისის თვეში დაგეგმილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სტანდარტის პირველადი პროექტის საბოლოო ვერსიის წარმოდგენა.

რაც შეეხება დასაქმების ხელშეწყობის სერვისებს, ქ-ნმა ელზამ აღნიშნა, რომ 2015 წლის 2 ივნისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით იქნა დამტკიცებული დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა, რომლის მიზანს დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება წარმოადგენს. ამასთან, აღნიშნული პროგრამის აქტივობებს განახორციელებს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. ასევე, ქ-ნმა ელზამ დასძინა, რომ ამჟამად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა სისტემის მოდულების ტექნიკურ აღწერაზე და მის პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

2015 წლის პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებული ვებ-გვერდის მეშვეობით კარიერული დაგეგმარებისა და კონსულტირების სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ქ-ნმა ელზამ აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი იქნება შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS)-ის ვებ-პორტალზე. მისივე თქმით, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა გარდა იმისა, რომ დაინტერესებულ მხარეებს მიაწვდის ინფორმაციას შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობის შესახებ და სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფს მათ, ასევე შესაძლებლობას მისცემს სამუშაოს მაძიებლებსა და სტუდენტებს, მიიღონ სასურველი ინფორმაცია კარიერულ დაგეგმვასა და კონსულტირებაზე. რაც შეეხება ახალი კარიერის დაგეგმარებისა და კონსულტირების სქემისპილოტირებას დასაქმების ხელშეწყობის სერვისების განმახორციელებელ 5 ცენტრში, ქ-ნმა ელზამ დასძინა, რომ პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურების სტანდარტისა და თანდართული მეთოდური მასალების შემუშავება/დამტკიცების შემდგომ დასაქმების ხელშეწყობის სერვისების 5 ცენტრში მოხდება ახალი კარიერის დაგეგმარებისა და კონსულტირების სქემის პილოტირება.

ვინაიდან ჯგუფის მონაწილეებს არ ჰქონდათ შეკითხვები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა სიტყვა გადასცა ევროკავშირის წარმომადგენელს ბ-ნ მიკოლაი ბეკისიაკს.

ბ-ნმა მიკოლაიმ დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს პროექტის ,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების'' ცნობიერების ამაღლებას და კომუნიკაციის აქტივობების კოორდინაციას. ბ-ნი მიკოლაის თქმით, მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოსთვის პროექტის ბენეფიციარებს მიეწოდებათ დამატებითი ინფორმაცია

აღნიშნული ახალი პროექტის პირობების შესახებ, რის შემდეგაც დაიწყება სატენდერო პროცედურები, ხოლო მომავალი წლის გაზაფხულისთვის დაიწყება ახალი პროექტის განხორციელება.

დღის წესრიგის მეორე საკითხის განსახილველად ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა სიტყვა გადასცა ევროკავშირის პროექტის "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარება საქართველოში" ჯგუფის ლიდერს ბ-ნ ვულფ შმიდერს.
ბ-ნმა ვულფ შმიდერმა მიმოიხილა საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში განხორციელებელი აქტივობები და ხაზი გაუსვა შრომის უსაფრთხოების საკითხებს. ბ-ნმა ვულფმა აღნიშნა რომ, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ევროსაბჭოს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ დირექტივების საქართველოში სამართლებრივი კუთხით ტრანსპოზიციაზე მუშაობს.
ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა კითხვით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს საქართველოში შუალედური მისიის განხორციელებისათვის ექსპერტების ჩამოსვლის თარიღთან დაკავშირებით. მისივე თქმით ექპერტების სავარაუდო ჩამოსვლის თარიღად 2015 წლის ოქტომბრის თვის დასასრული ან ნოემბრის თვე მოიაზრება.
პასუხად ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ მოხდებოდა ბენეფიციარ სამინისტროებს შორის თარიღთან დაკავშირებით შეთანხმება, რის შემდეგაც ქ-ნ ნინოს დაუყოვნებლივ ეცნობებოდა პასუხი.

სხდომა შეაჯამა და დახურულად გამოაცხადა ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა.

,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს''სხდომის თავმჯდომარე

ქეთევან ნატრიაშვილი

,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს''სხდომის მდივანი:

ქრისტინა გოროდნიჩევა